



საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულო



N 29
 31/05/2019

29-07-4-201905311417



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 განკარგულება №29
 2019 წლის 31 მაისი
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის
 ვენე კვირკველიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 154-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. ცნობილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ვენე კვირკველიას უფლებამოსილება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო